# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 40 | კვირა, 12 მაისი 1902 წ. | გაზეთის № 1806.

## მოსეს სურათი

(ვ. დოროშევიჩისა)

მთელ დედამიწაზე გავარდა და დიდებით შეიმოსა მოსე წინასწარმეტყველის სახელი მას შემდეგ, რაც მან ებრაელები ეგვიპტიდან გამოიყვანა.

მთელი კაცობრიობა გააკვირვა მოსეს სასწაულებმა; ყველა წმინდანად და ღვთის კაცად აღიარებდა მას.

თვით არაბეთის მეფემდინ მიაღწია მოსეს საკვირველმა ამბებმა; რამდენი ხანიც გადიოდა, იმდენად უფრო მეტი ქება ესმოდა მეფეს მოსეზედ,—ქება, რომელიც ყოველთვის ღვთაებრივ სიყვარულს უნერგავდა მას გულში და დღემუდამ კარგს ფიქრზედ აყენებდა.

მოსესადმი სიყვარულით გამსჭვალულმა მეფემ მოინდომა მისი სურათის ნახვა; საიდუმლოდ მოიხმო თავისი მხატვარი და უთხრა:

— მე განვიზრახე ვინახულო სახე ღვთისა კაცისა, ამისათვის გიბრძანებ აიღო სპილოს ძვლის ფიცარი, ამოარჩიო საუკეთესო სამხატვრო წამლები, წახვიდე უდაბნოში, რომელშიაც ამჟამად იმყოფება ურიათა წინასწარმეტყველი მოსე, სიფრთხილით გადაიღო მისი სურათი და მომართვა.

მეფის მხატვარი დაუყოვნებლივ გაემგზავრა უდაბნოსაკენ, სადაც იმყოფებოდა მოსე, სიფრთხილით გადაიღო მისი სახე და მიართვა მეფეს.

დიდხანს უყურებდა ჩაფიქრებული მეფე მოსეს სურათს და დიდად მოეწონა იგი. შემდეგ მოუწოდა თავის დახელოვნებულ და სწავლულ ბრძენთ, უჩვენა მათ სურათი და უთხრა:

— თქვენ ყოველგვარ საიდუმლოების გამორკვევა და გამოცნობა შეგიძლიათ; ეხლა დააკვირდით ამ სურათს და მითხარით—რა კაცია ეს კაცი და რა შეადგენს მის ძალას?

სწავლულნი დიდის დაკვირვებით დააჩერდნენ მოსეს სურათს და სდუმდნენ; ყოველი მათგანი უფროსის ბრძენის აზრის წარმოთქმას ელოდა, რადგან პირველად ხმის ამოღებას ყველა ერიდებოდა.

ბევრი აღარ ალოდინა უფროსმაც და დარწმუნებით წარმოსთქვა:

— ეს კაცი ძლიერ ბოროტი უნდა იყოს!

ახლა სხვებმაც ამოიღეს ხმა და საშინელი შეურაცყოფა მიაყენეს მხატვრისაგან ხელ-ქმნილ სურათს.

— ეს კაცი ამაყია!—წამოიძახა მეორემ.

— იგი ბოროტია და ამასთანავე ბრაზიანი!—დაუმატა მესამემ.

— დიდების მოყვარულია!

— ვერცხლ-მოყვარეა!

— ავხორცია და ავსული!—გაიძახოდნენ სხვები. და ბოლოს ყველამ ერთხმად და დაბეჯითებით წარმოსთქვა:

— ეს კაცი ავაზაკია და ღვთის მგმობი!

აქ კი ველარ მოითმინა განრისხებულმა მეფემ და უეცრივ შეჰყვირა მჭექარე ხმით:

— ჩუმად! რას როშავთ! დამცინით თუ რა ამბავია?! იცით ვისი სურათია ესა?! ეს არის სურათი იმ დიადის კაცისა, რომელსაც სახელად ეწოდება მოსე წინასწარმეტყველი და რომელმაც მთელი კაცობრიობა გააკვირვა თავის სასწაულებითა. თქვენ კი გაიძახით, რომ ავაზაკია! მთელ ქვეყანას მოეფინა მისი კეთილ-მოქმედების ამბავი, თქვენ კი შეურაცყოფთ?! ეხლა კი ვცანი სიყალბე და სიმრუდე თქვენის მეცნიერება მოძღვრებისა!—სთქვა [illegible] და აღგზნებულმა ბრძენთა თავხედობით, მთლად შემოიფხრიწა ტანისამოსი.

—ვაი, შენ ჩემო თავო! ვაი, რომ თქვენს სიტყვას ყურს ვუგდებდი და დარიგებასაც კი გთხოვდით ხოლმე ზოგიერთს ჩემს საქმეში!—იძახდა დაღონებული და გულ-დაკოდილი მეფე არაბეთისა.



იესო ქრისტე

ქანდაკება ხეზე, ამოჭრილი მე-XV საუკუნეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიშითა ძრწოდნენ ბრძენნი განრისხებულ მეფის წინაშე.

— მოწყალეო ხელმწიფევ! ნება მიბოძეთ მოგახსენოთ!— მიჰმართა უფროსმა ბრძენმა და რა აიღო ნებართვა ასე დაიწყო:

— ადამიანი რომ ღრმად ჩაუფიქრდეს ამ კაცის სახის მკაცრ გამომეტყველებას, უეჭველად ცუდ თვისებას მიაწერს მას და გაბედვითაც იტყვის—ავაზაკიაო; ჩვენი აზრი ამ სურათის შესახებ ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს, მით უმეტეს, რომ ხშირად ადამიანის ბუნება იცნობება ხოლმე სახის გამომეტყველებით. თუ მართლა რამეში ვცდებით, ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ მხატვარს რიგიანად ვერ გამოუყვანია სახე ამ კაცისა; ამიტომ მხატვარი აუცილებლად სიკვდილით უნდა დაისაჯოს, რადგან თავის უმეცრებით დიდ შეცდომაში შეგვიყვანა.

— ზედ გამოჭრილი მოსეს სახეა ეს სურათი და, თუ სწავლულნი სცდებიან, ჩემი რა ბრალია?! — ამბობდა მხატვარი. ბრძენნი კი არწმუნებდნენ მეფეს, მხატვარს ცუდად შეუსრულებია თავის საქმეო.

განრისხებულმა მეფემ გადასწყვიტა თავის თვალით ენახა მოსე, რათა ნამდვილად დარწმუნებულიყო, თუ ვის მხარეზედ იყო სიმართლე; მოატანინა ეტლი, ჩაჯდა და პირდაპირ უდაბნოსაკენ გასწია, თანამგზავრებმა უჩვენეს მას მოსეს სამყოფელი ადგილი.

იხილა თუ არა მეფემ მოსე, განცვიფრდა მხატვრის ხელოვნებით, რადგან ყოვლად უნაკლულო მსგავსება ჰპოვა მის ნამდვილ სახესა და მხატვრისაგან გაკეთებულ სურათ შორის.

— ვინ არის ესე კაცი?—იკითხა მეფემ.

— ეს არის ღვთის კაცი მოსე!—მიუგეს მას.

ხელმეორედ შეადარა მეფემ მოსეს ნამდვილი სახე სურათს და ისევ განცვიფრება აღიბეჭდა მის სახეზედ. მაშინ გაახსენდა თავხედობა ბრძენთა თვისთა, რომელნიც მხატვარს შეურაცხყოფას აყენებდნენ და გადასწყვიტა პირადად მოლაპარაკებოდა მოსეს ბრძენთა აზრის შესახებ. ამ განზრახვით შევიდა მის სადგომში, მიესალმა და უამბო აღძრული დავა მხატვარსა და ბრძენთა შორის; თანაც ეს დასძინა:

— მომიტევე, ღვთის კაცო! ვინემ მე თვით არ ვიხილავდი შენს ღვთიურ სახეს, მეგონა, რომ მხატვარი ტყუოდა და კარგად ვერ გადაიღო შენი სახე, მით უმეტეს რომ გამოცდილნი ბრძენნი ჩემნი მარწმუნებდნენ—ავაზაკი, დიდების მოყვარული, ვერცხლის-მოყვარე და ავი უნდა იყოს ეს კაციო, ახლა კი რა ვნახე სრული მსგავსება შენს ნამდვილ სახესა და მხატვრის სურათ შორის, სრულიად დავრწმუნდი ბრძენთა სიყალბეში; მიუხედავად იმისა, რომ ისინი დიდ განცხრომა-ფუფუნებაში მყვანდა, მაინც მატყუებდნენ! ამის გამო გადავსწყვიტე მათი დასჯა.

მოსემ გაიცინა და უთხრა:

— არა! რამდენადაც მხატვარი ყოფილა დახელოვნებული თავის საქმეში, იმდენადვე შენნი ბრძენნიც ყოფილან მსწავლულნი და გამოცდილნი; მათი აზრიც ჩემის სურათის შესახებ სიცრუეს მოკლებული არის და აი რატომ: მე რომ ბუნებითვე ვიყო ისეთი, როგორიცა ვარ ეხლა ჩემის მოქმედებით, მაშინ გამხმარ კუნძს ვეგვანებოდი, რომელსაც არავითარი კაცური ნაკლულევანება არა აქვს! მაშინ ხომ აღარც ღმერთს შევუყვარდებოდი და თვით ხალხიც აღარაფრად ჩამაგდებდა?! ასე ჩემო მეგობარო: ყოველი ის ნაკლი, რომელიც კი ჩემში ჰპოვეს ბრძენთა შენთა, ბუნებითვე დამყოლია როგორც კაცს; მაგრამ დღეს ეს ნაკლი და ცუდი მიდრეკილება სამუდამოდ მოვიშორე და სამაგიეროდ ჩემს გულში აღვზარდე სიკეთე. მე მივაჩვიე თავი ჩემი კეთილ-მოქმედებას და ვსძლიე ჩემს ავს ბუნებას! სწორედ ამიტომ შევუყვარდი ცასაც და დედამიწასაც.

ამით გაათავა თავისი სიტყვა მოსემ და ღიმილით გაისტუმრა სრულიად დამშვიდებული მეფე არაბეთისა.

ვ. მათურელი

# გასართობი

**როგორ გამდიდრდა სესილ როდსი.** 1870 წელს სესილ როდსი მივიდა სიდნეიში (აფრიკაშია) და იმწამსვე შეუდგა თავისთვის საქმის ძებნას; მაგრამ არავის არ იცნობდა, არც გასაცნობი წერილი ჰქონდა ვისთანმე მიწერილი, და ამიტომ იმისთვის სამუშაო არ გამოჩნდა. თავ და პირველად დიდ რამეებს ფიქრობდა; მაგრამ რაც დრო გადიოდა, იმას ფული თან და თან ელეოდა და მაშინ დიდი სურვილებიც შეუმცირდა. ბოლოს ის მზად იყო ყველაფერი გაეკეთებინა, ოღონდ კი საჭმელი ჰქონოდა და ღამის თავშესაფარი; მაგრამ სრულებით არაფერი არ გამოჩნდა იმის ბედზე. როცა ფული სულ შემოელია, უბინაოდ დარჩა; მთელი დღე და ღამე ტყუილად დაეხეტებოდა ქუჩაში და ფიქრობდა, რა საქმისთვის მოეკიდა



**ტალღებში.**—სურათი დალისა

ხელი. გათენებისას შემთხვევით ქალაქს გასცილდა და ნავთსადგურს მიადგა. აქ დაინახა, რომ ერთი მეთევზე თევზს იჭერს, მეთევზემ შენიშნა მიმავალი ახალგაზდა კაცი და დაუძახა:

— ეე, ყმაწვილო, მოდი, ჩემ მაგივრად ჩანგალი გადააგდე, იქნება კაი ფეხი მომიტანო. მე ძალიან დავიღალე.

— ძალიან კარგი. მერე რას მომცემ დასაჭერს?

— მთელ აკულას (დიდი მსუნაგი თევზის), თუ კი გაებმება.

— კარგი! მგონია, ნაწილავებიანათ შევჭამთ.

— აი, დაჯექი. მეკი მოგეცლები, რომ ხელი არ შეგიშალო,— მე ეს გამოცდილებით ვიცი... ოჰო! უყურე: ჩანგალი გამოედო!.. მე მაშინვე ვიცოდი! როგორც კი დაგინახე, მაშინვე ვიცოდი, რომ ბედნიერი კაცი მოდიოდა. ემანდ თქვენი ნადავლიც—ნაპირზეა! ეს იყო საშინელი აკულა—სიგრძით ორი საჟენი და ხუთი ფუტი, როგორც უცბად გაითვალისწინა გამოცდილმა მეთევზემ და გაუჭრა თევზს მუცელი.

— ყმაწვილო, რასაც იპოვი, შენია; ხან-და-ხან ამ თევზს მუცელში ისეთი ნივთები აქვს ხოლმე, რომ კაცს გამოადგება. სანამ მე კი წავალ და სხვა ჩანგალს მოვამზადებ, იქნება მეც გამიღიმოს ბედმა.

როცა მეთევზე დაბრუნდა, ყმაწვილ კაცს ხელები დაბანილი ჰქონდა და ქალაქში წასვლას აპირებდა.

— რას შვრები, მიდიხარ კიდეც?

— დიახ. შვიდობით!

— მერე ამ თევზს რას უპირებ?

— მე რად მინდა?

— როგორ თუ რად გინდა! ძალიან ჭკვიანი ყოფილხარ! მაშ არ იცი, რომ მთავრობა ამის დაჭერაში ოცდა ხუთმანეთს ჯილდოს მოგცემს. რას იტყვი ამაზე?

— დეე, შენ მოგცეს ოცდა ხუთი მანეთი.

— მერე ჩემთვის შეგინახო?

— რასაკვირველია, შენთვის.

— შენ მე მომწონხარ. სწორეთ, რომ ფრინველს ფრთებით ვერ იცნობ. ტანისამოსი ძველი გაცვია, მაგრამ გეტყობა, მდიდარი ხარ.

— ნამდვილს ამბობ: მე მდიდარი ვარ.

ათის ნახევარზე მდიდარი მაკლერი (შუამავალი ორ მოვაჭრეთა შორის), რომელიც მატულის საქმეებს არიგებდა სიდნეიში, თავის ოთახში იჯდა და საუზმის შემდეგ გაზეთს კითხულობდა. ამ დროს მოსამსახურემ კარებში თავი შემოჰყო.

— ვიღაც დაძონძილი კაცი მოვიდა, ბატონო, და თქვენა გკითხულობთ.

— მაგ სისულელეებით რას მაწუხებ? გააგდე ეხლავე!

— მინდოდა გამეგდო, მაგრამ არ მიდის.

— თუ ეგრე ძალზეა, მაშ დაუძახე.

დაძონძილი კაცი შემოვიდა.

— ერთი ეს მიბძანეთ, ძმობილო, რა გნებავთ?

— მე მინდა გთხოვოთ, რომ 100,000 გირვანქა სტერლინგი მასესხოთ (ერთი მილიონი მან.).

მაკლერს სული შეუგუბდა.

— რაო?!... მერე ვინა ხართ თქვენა?

— თქვენ მე არ მიცნობთ.

— თქვენი სახელი?

— სესილ როდს.

— პირველად მესმის. მაგრამ ერთი ეს მიბძანეთ, ისე სალაპარაკოდ მაინც, რამ გაფიქრებინათ, რომ ამ-გვარი უცნაური თხოვნით მომმართეთ?

— მე განზრახვა მაქვს, ორი თვის შემდეგ ერთი-ორად გაქციო ეს ფული ჩემს და თქვენს სასარგებლოდ.

— იქნება მართლაც? ძალიან საგულისხმიეროა... მე მინდოდა... მაგრამ დაჯექით და მოვილაპარაკოთ. იცით, ეს საინტერესოა... თქვენი პლანი კი არა, თითონ თქვენა. თქვენში რაღაც იფარება. ჰო და, თუ კარგად მიგიხვდით, თქვენ სურვილი გაქვთ...

— მე მოგახსენეთ განზრახვა.

— ჰო, დიახ; მაგრამ დაიცათ, ცოტას გავივლი ოთახში; თქვენ მე მოულოდნელად გამანცვიფრეთ, თქვენ კი თითქო სრულიად არა დელავთ. ვეცდები, დავმშვიდდე... აი რა: ეხლა მე სრულიად დამშვიდებული ვარ. აბა გადმოალაგეთ თქვენი განზრახვანი.

— მე მინდა შევისყიდო, რაც ამ წელს მატულის მოსავალია, რომ ორ თვეს ჩაგაბარო....

— როგორ თუ რაც მოსავალია?

— ისე, სულ, რაც მოსავალია.

— სისულელეა! მერე იცით, რა ეღირება?

— ორ მილიონ ნახევარი გირვანქა სტერლინგი, შეიძლება, ცოტა მეტიც.

— ეგ კარგად გცოდნიათ. ისიც იცით ორი თვის საწინდრად რამდენია საჭირო?

— სწორეთ 100,000 გირვანქა სტერ., რომელიც მე მინდა თქვენ გესესხოთ.

— ნამდვილია. ღვთის წინაშე, მე მინდა, რომ თქვენ ეს ფული გქონდეთ, მარტო იმისთვის მაინც, რომ ჩემი ცნობის მოყვარეობა დაკმაყოფილდეს. რას უზავდით ამ ფულებს?

— ამ ფულით ორს თვეში შევიძენ 200,000 გირვანქას.

— ესე იგი, თქვენ გინდათ შეიძინოთ, მაგრამ...

— უთუოდ შევიძენ.

— უცნაურად ირწმუნებით. მე გამიგონია, რომ ეს ნათელი გონების ნიშანია. სწორე გითხრათ, ცოტა არ იყოს, მჯერა, რომ თქვენ დიდებული აზრი გქონდათ, როდესაც მოხვედით აქ, უცნობ სახლში. ბარემ გამოსთქვით ბოლომდის: თქვენ მე ვერ შემაშინებთ, მე ეხლა ყველაფრისთვის მზადა ვარ. რისთვის გინდათ ამდენი მატულის ყიდვა და ან რათა გგონიათ, ამოდენა ფულს მოიგებთ?

— მე კი არა მგონია, მე ვიცი, რომ ესე იქნება.

— მერე საიდან იცით?

— საფრანგეთმა გერმანიას ომი გამოუცხადა, და ლონდონში მატულის ფასმა თორმეტის პროცენტით აიწია და კიდევ უფრო აიწევს.

— თქვენ ეგრე ფიქრობთ? მაშ ძალიანა სცდებით. თქვენ გეგონათ, რომ მაგ ამბით გამაოცებდით? ნახტომი შეგეშალათ, ჩემო ძვირფასო. აი, წაიკითხეთ დილის გაზეთი. ეს გუშინ საღამოს თერთმეტ საათზე მოიტანა სწრაფმა გემმა, რომელიც ლონდონიდან გამოვიდა ორმოც და ათი დღის წინად და მოიტანა ნამდვილი ამბები. პოლიტიკაში ჩამი-ჩუმიც არ ისმის ომზე და რაც შეეხება, მატულს ეს ყველაზე უხეირო საქონელია ინგლისის ბაზარზე. აბა ახლა რას იტყვით ამის წინააღმდეგ? რატომ ეგრე დამშვიდებული ზიხართ?

— იმიტომ რომ მე უფრო ახალი ცნობები მაქვს.

— უფრო ახალი? შეუძლებელია! ყველაზე ახალი ცნობები ლონდონიდან ორმოც და ათ დღეშია მიღებული...

— ჩემი ცნობები კი ათი დღისაა.

— ეს სულ ტყუილია. მერე საიდან გაქვთ ეგ ამბები?

— აკულას მუცლიდან.

— გამიგონეთ, მე თქვენ გიბძანებთ თავი დაანებოთ მაგ ლაპარაკს! თუ არა და პოლიციას უნდა დავუძახო! თქვენ რაღასაც ბოდავთ, უთუოთ გიჟების სახლიდანა ხართ გამოქცეული...

— დაბძანდით და ჭკუა მოიკრიბეთ. რა საჭიროა ღელვა? ჯერ ჩემი ნათქვამის დამტკიცება მოისმინეთ, ვიდრე მე გიჟათ გამომაცხადებდეთ.

—ათა ჯერ გთხოვთ მოტევებას; რასაკვირველია, აქ გასაოცებელი არაფერი არ არის, რომ ხალხი აკულებით სარგებლობს საბირჟო ამბების გასაგზავნად!.. ჰმ, ჰმ, რასა სწერთ?

— ეხლავე გავათავებ; ორიოდე სიტყვასა ვსწერ. ეს ჩემი ჩვენებაა აკულაზე და სხვა წვრიმალიც. გთხოვთ, ამას ხელი მოაწეროთ.

— მოიცათ, გონს მოვიდე... თქვენ ამტკიცებთ—არა, სწორეთ რომ საინტერესოა! მაშ იცოდეთ, თუ რომ თქვენ დამიმტკიცებთ,



მეჩეთში.

ფულს მიიღებთ, შეიძლება, ერთი ორადაც, ხოლო მოგება სანახევროდ. სად არის უკანასკნელი ნომერი „ტაიმს“-ისა? მაჩვენეთ!

— აი, ნახეთ: ეს ძილები და ძლიური იმ კაცს ეკუთვნოდა, რომელიც აკულამ გადაულაპა. უთუოთ უბედურება ტემზაზე მოხდა, იმიტომ რომ უკანასკნელი შენიშვნა აღნიშნულია ლონდონით და იმავე რიცხვით, როგორც „ტაიმს“-ის ნომერი; აი რა არის ამაში: „ომი გამოცხადებულია. მე დღესვე მივდივარ გერმანიაში, რომ სიცოცხლე დავსდვა სამშობლოს საკურთხევლის წინაშე“. ეს იმას ნიშნავს, რომ მამულის შვილი ომში წასვლას აპირებდა, მაგრამ ძალიან ძირს წავიდა: ვიდრე დღე დასრულდა, ის აკულამ გადაულაპა.

— სწორეთ მებრალება ის კაცი. მაგრამ ის მერე შევიბრალოთ, ეხლა ჩვენ საერთო და ძალიან დიდი საქმე გაგვიჩნდა. მე ყველაფერს მოვამზადებ და დავიწყებ მატულის სყიდვას. ეს ცოტათი გამოაცოცხლებს ჩვენს დაღონებულ ვაჭრებს. როდესაც საქონლის ჩაბარების დრო მოვა, მაშინ შეიტყობენ, რაშიაც არის საქმე და თავზარ დაცემულებივით გაშტერდებიან. ეხლა კი ჩემს მკერვალთან წავიდეთ ტანისამოსისთვის. ნება მომეცით ერთი კიდევ გკითხოთ სახელი?

— სესილ როდს.

— ვეცდები, დავიხსომო. მხოლოდ თუ დიდი ხნის სიცოცხლე გიწერიათ, შეეცადეთ, რომ თქვენი სახელი მთელმა ქვეყანამ გაიგოს. ქვეყანაზე სამი ჯურის ხალხია: ჩვეულებრივი, არა ჩვეულებრივი და გიჟები. მე მგონია, არ შევცდები, რომ თქვენ არა ჩვეულებრივი გიწოდოთ.

ამ საქმემ ბრწყინვალედ ჩაიარა და ახალგაზდა როდსმა პირველად ასე ადვილად შეიძინა დიდებული ქონება.



არტისტიულ საზოგადოების თეატრში „ფარსის“ წარმოდგენაზე.



ცხენის ბაზარი („იარმუკა“) ტფილისში, რომელსაც ყოველ წლივ ჰმართავს ტფ. გამგეობა.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Мая 1902 г. ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგ. გამომც. ქრთ. ამხანაგობის